სატრნანსპოტო საშუალებებზე ტექნიკური ინსპექტირების საფასურმა ჯამში **6860** ლარი შეადგინა, შპს ჯითი მოტორსზე" გადახდილი თანხა **42032,50** ლარია, რომელიც მომსახურებას გვიწევს ფორდ რანზიტების ტექნიკურ მომსახურებაზე. **7702,86** ლარი გადაუხადეთ შპს ,,თეგეტა მოტორ"-ს რომელიც აბურავების დაშლა/აწყობა ბალანსირების მომსახურებას ანხორციელებს. შპს ,,ზეტეკს" **18540** ლარი ადაუხადეთ ავტობუსების სამრერცხაო აპარატეპის პერიოდულ მომსახურებაზე, შპს ,,მაგთიკომის" მიერ იჭური კავშირგაბმულობის მომსახურების ღირებულებამ **3634,10** ლარი შეადგინა, **140,40** ლარის ატელეფონო მომსახურება გაგვიწია შპს ,,ტელეკომ 1"-მა, რომელიც ორგანიზაციის ქოლცენტრისთვისაა ანკუთვნილი, **599** ლარის საფოსტო მოსახურება გაგვიწია შპს ,,საქართველოს ფოსტა"-მ, სსიპ ,,სერვისების ანვითარების სააგენტო"-მ **1039** ლარის ოდენობით მომსახურება გაგვიწია, ხოლო სსიპ ,,ციფრული მართველობის სააგენტო"-მ **66** ლარი, რომელიც დასაჯარიმებელი მგზავრების მონაცემების მოწოდებასთან აკავშირებით გვიწევს მომსახურებას, ოფისისათვის განკუთვნილი ინტერნეტ მომსახურებაში **1800** ლარი აიხარჯა, რომლის მოწოდებასაც შპს ,,დატაკომი" ანხორციელებს, შპს ,,აქვა გეო"-ს **1096,20** ლარის დენობით თანხა გადაუხადეთ ოფისისათვის განკუთვნილი სასმელი წყლის და ერთჯერადი ჭიქების. **8676,80** ლარი გადავიხადეთ 10 მიკროავტობუსის დაზღვევაში. ამ პერიოდში სსიპ სახელმწიფო ქონების ართვის სააგენტოს გადაუხადეთ **500.00** ლარის ოდენობით აუქციონის გამოცხადების საფასური. **3600,00** არი გადაუხადეთ შპს ,,ავტოდახმარება ჯუბას" ფორდის მიკროავტობუსების ქუთაისიდან თბილისში შპს ჯი თი მოტორსში" გადაყვანისათვის, სხვადასხვა სარეცხი საშუალებებისათვის შპს ,,მორიკას" **365,85** ლარი ადავიხადეთ, შპს ,,HANSA-FLEX Georgien"-ში შევიძინეთ **1096.00** ლარი ღირებულების მაღალი წნევის ლანგები, სხვადასხვა სამუშაოესათვის საჭირო სამუშაო იარაღების შესაშენად შპს ,,გოგე და კომპანიში" **285,25** ლარი გადავიხადეთ, ხოლო შპს ,,გორგია"-ში **766.00** ლარი, **3440,00** ლარი გადავიხადეთ შპს მასა-ში ვტობუსებისთვის განკუთვნილი ნათურების და სხვადასხვა სახის ზეთების შესაძენად, **805.40** ადავიხადეთ შპს ,,მაიპისში" საკანცელარიო ნივთებში, სხვადასხვა სახარჯი მასალის შესაძენად შპს ,,ქება 024"-ში **419.65** ლარი გადავიხადეთ, ავტობუსების სამრეცხაოზე სანიაღვრე სისტემის გაწმენდაში შპს მუნიციპალ სერვისს" **875.00** ლარი გადაუხადეთ, **500.00** ლარი გადაუხადეთ ლევან ნიკოლეიშვილს ამწე ალათის მომსახურებში , რომელიც დიდთოვლობის დროს გახდა საჭირო მუშახელის საწყობის სახურავზე აყვანად, **1858.50** ლარი გადაუხადეთ შპს ,,მეტალ"-ს ლითონის კუთხოვანის შესაძენად საწყობში თაროების ოსაწყობად, რომელიც მოწყობის სამუშაოები ნუგზარ მუმლაძემ განახორციელა და მას აღნიშნული ამუშაოების შესასრულებლად **1000.00** ლარი გადაუხადეთ. **1130.00** ლარი გადაუხადეთ შპს პრემიერს სადაც იფტი შევიძინეთ მიკროავტობუსების იატაკის შესაკეთებლად, ხოლო შპს ლევანტოს **225.00** ლარი ღნიშნული იატაკის წებოსათვის. 2025 წლის თებერვლის თვეში შევისყიდეთ ახალი ელექტრო ვტობუსებისათვის YUTONG BUS CO LTD-მ **9940.91** ლარის ღირებულების სათადარიგო ნაწილები ოგვაწოდა, ხოლო იმპორტის გადასახადმა **2214.22** ლარი შეადგინა, ხოლო შპს კავკასტრანსექსპეტის ომსახურებამ **564.48** ლარი. 6096 ლარის ღირებულების საბურავები შევიძინეთ შპს ამბოლში, **153** ლარის ირებულების ხსნარები შებიძინეთ შპს კელხერში ავტობუსების სამრეცხაოსათვის, **50** ლარის 100 ცალი

არჭი შევიძინეთ მერაბი გოდერიძედან, **62.10** ლარის 90 მეტრის კაბელი შევიძინეთ შპს საქკაბელში, **76165** ლარის ღირებულების ავტონაწილები შევიძინეთ დავით მამრიკიშვილიდან, **273** ლარი გადაუხადეთ თამარ იდეშელს ელექტრონული ტაბელის ბარათებისათვის და კომპიუტერული მომსახურების უზრუნველყოფაში, **7303,45** ლარის ღირებულების ნაწილები და მასალები შევიძინეთ ავტობუსებისათვის ანკუთვნილი კონდენციონერებისათვის, **5360,00** ლარის მომსახურება გაგვიწია შპს ,,ფორდ სერვის ნერჯიმ", რომელმაც ფორდის მარკის მიკროავტობუსებზე მოახდინა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, **50** ლარი გადაუხადეთ მამუკა ჭოლაძეს 4 ცალი სქელყდიანი ჟურნალის დამზადებაში.

რაც შეეხება 2025 წლის დარჩენილ 6 თვეს (ივლისი-დეკემბერი) დაგეგმილია გაიცეს **2000000** ლარის ოდენობით შრომის ანაზღაურება, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისათვის ნებართვის მოსაკრებელი **10440** ლარი, შპს ,,აზია სერვისის" გასაწევი მომსახურება **430000** ლარითაა განსაზღვრული, შპს სან პეტროლიუმის" მიერ მოსაწოდებელი დიზელის რაოდენობა **500000** ლიტრია და მისი ღირებულება **250000** ლარით განისაზღვრა, შპს,,რომპეტროლ საქართველოს" მიერ მოსაწოდებელი ბენზინის ოდენობამ **000** ლიტრი შეადგინა და მისი საფასური **12000** ლარია, კომუნალური გადასახადების ხარჯი **36000** ლარითაა ათნსაზღვრული.

წყალი - **6000** ლარი,

ელ.ენერგია - **20000** ლარი,

ბუნებრივი აირი - **5000** ლარი.

2025 წლის მომავალ 6 თვეში განსაზღვრული **3 500 000** მგზავრის გადაყვანა, საიდანაც დაგეგმილი შემოსავალი **2 000 000** ლარია, ხოლო დარჩენილი მისაღები სუბსიდია **3 190 000,00** ლარს შეადგენს.

საფინანსო სამსახური პერიოდულად ახდენს საწყობის ნაშთების დათვლას, ფაქტიური და ბუღალტრული ნაშთების შედარებას და შესასყიდი მარაგების პერიოდულად შევსებას. ასევე ვახორციელებთ შესასყიდი მასალების და მომსახურების ფასების კონტროლს. მუდმივად ვახორციელებთ კომპანიის სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტებზე და პერიოდულ მომსახურებაზე ამოწერილი სამუშაოს შესრულების აქტების და ფინანსური დოკუმენტების შედარებას. ყოველი თვის 15 რიცხვამდე ვახდენთ საშემოსავლო, მოგების და დღგ-ს დეკლარაციების შევსებას და გადაგზავნას საგადასახადო სამსახურში კანონის შესაბამისად. შემჭიდროვებულ ვადებში ვახორციელებთ ბუღალტრულ გატარებებს ორისის პროგრამაში, რაც საშუალებას იძლევა ძალიან ოპერატიულად და მოქნილად მოვახდინოთ კომპანიის ნაშთების მონიტორინგი.

ვახდენთ ყოველი თვის მომავალი თვის 15 რიცხვამდე შესყიდული საწვავების და შესაპოხი მასალების აღრიცხვას, კონტროლს და ჩამოწერას გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით. მონიტორინგს ვახდენთ ყოველდღიურად სატრანსპორტო საშუალებებში საწვავის შევსებას, რათა არ მოხდეს დადგენილი წესის დარღვევა.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ქოლცენტრის სამსახურმა ფეისბუქგვერდზე მიიღო 100 - მდე შეტყობინება და პასუხი გასცა 1500 - მდე შემოსულ ზარს.

ცხელი ხაზის ოპერატორები განსაკუთრებით მობილიზებული იყვნენ ზაფხულის ცხელ დღეებში, კრიზისული კომუნიკაციის მართვის თვალსაზრისით. უჩვეულოდ ცხელმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა პრობლემები შეუქმნა, არა მარტო კომპანიის კუთვნილი ავტოტრანსპორტის გაგრილების სისტემების გამართულ მუშაობას, რასაც შესაბამისმა სამსახურმა წარმატებით გაართვა თავი, არამედ

ქოლცენტრთან კომუნიკაციასაც, (დაფიქსირდა ზარების უპეცენდენტო რაოდენობა), რასაც თანამშრომლები, მეტ - ნაკლები წარმატებით, გაუმკლავდნენ.

პიარის სამსახურმა განახორციელა შემოსული ზარების აღრიცხვა; ქოლცენტრის მონიტორინგის პროგრამა საშუალებას იძლევა ვაკონტროლოთ ყველა მნიშვნელოვანი კომუნიკაციის მცდელობა, ეს იქნება საჩივრები, წინადადებები, თუ კეთილი სურვილები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, ანალიტიკაზე წვდომის არსებული საშუალებით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ, შემოსული ზარების დიდი ნაწილი ატარებდა საინფორმაციო ხასიათს.

პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით, უმეტესობა ტაბლოების გაუმართავ მუშაობასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე მოდიოდა. მას შემდეგ, რაც მოწესრიგდა ავტობუსებში გაგრილების სისტემები, ძირითადად, კომპანიის კუთვნილი ავტოტრანსპორტის ლოკაციებსა და მგზავრების მიერ უნებლიედ დაკარგულ ნივთებზე იყო განხორციელებული ზარების უმეტესობა.

კომპანიის სატელეფონო ცენტრის ოპერატორები მუშაობდნენ მგზავრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ძალისხმევა არ დაუშურებიათ მათთან გაჟღერებული პრობლემების ადმინისტრაციამდე მისატანად, რასაც ყოველთვის მოჰყვა მათზე დროული რეაგირება, მაქსიმალურად შეზღუდულ დროში გადაწყვეტა და გამოსწორება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისგან შემოსულია მადლობის ზარებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ კომპანიის პიარისა და ქოლცენტრის სამსახური აკმაყოფილებს მგზავრთა ინფორმაციულ საჭიროებებს რეალურ დროში, როგორც ინფორმაციის გაცემის, ისე პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით.

მიმდინარე წლის გასული თვეების განმავლობაში, მათ უზრუნველყვეს მოქალაქეთა მომსახურებისა და კონსულტაციების მაღალი ხარისხი. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კი - შემოსული ზარების დამუშავება - დახარისხება და, რეაგირებისთვის, შესაბამის განყოფილებებთან გადაგზავნა.

ამა წლის გასული თვეების განმავლობაში, შემოსული ზარებისა და სოციალური ქსელით, განხორციელებული კომუნიკაციის მოცულობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემცირებულია საყვედურები როგორც მძღოლების, ისე კონტროლიორების მისამართით.

კვლავ იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მგზავრები გვთხოვდნენ კონტროლიორთა რაოდენობის გაზრდას, რადგან, როგორც ისინიც კი აღნიშნავენ, ჯერ კიდევ დაბალია მოსახლეობის სოციალური პასუხისმგებლობა და გადახდების ზრდა არ აღინიშნება.

ასევე, განხორციელდა ზარები, მთელ როგ სვლაგეზებზე, ავტოტრანსპორტის დამატების მოთხოვნით, რადგან, არსებული ავტოპარკი, მათი აზრით, ვერ წვდება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამხაური, ქოლცენტრისა და სადისპეტჩერო განყოფილების ჩართულობით, მყისიერად აწვდიდა მგზავრებს საჭირო ინფორმაციას.

კომპანიის ფ/ბ გვერდის საშუალებით, მოქალაქეებს ვაყენებდით საქმის კურსში ქოლცენტრის განახლებული გრაფიკებისა და ჩვენს სატრანსპორტო საშუალებებზე სარეკლამო ბანერების განთავსებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერებზე, რასაც მოჰყვა 2 კომპანიის ბანერების ჩვენს ავტობუსებზე განთავსება.

ბოლო კვარტალში, დიდი ძალისხმევით, მოვიძიეთ და დავაბრუნეთ, მგზავრების მიერ დაკარგული ყველა ნივთი.

**დაისვა შეკითხვები,გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** ,,მინდა წარმატებები გისურვოთ თქვენ და თქვენს თანამშრომლებს საქმიანობაში.თქვენი გუნდის ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობა არის სწორედ გარანტი იმისა,რომ მივაღწიოთ იმ შედეგს,რომელიც გვახარებს თითოეულ ჩვენგანს. მაინტერესებს მოძრაობის უსაფრთხოებისა და საავარიო განყოფილების მიერ 2025 – 2026 წლების სამუშაო გეგმის შესახებ რას გვეტყვით?"

შპს,, ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:**,,დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი სვლაგეზებზე გარემოსა და ინფრასტრუქტურის და მოძრაობის უსაფრთხოების განსაზღვრა.დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი სვაგეზებზე გარემოსა და ინფრასტრუქტურის მხრივ არსებულ ვითარებაზე და განისაძღვროს მოძრაობის უსაფრთხოება.სისტემატურად გავაანალიზოთ საგზაო სატრანსპორტო შემთვევების სიტუაციებისაგზაო სატრანპორტო შემთხვევისას მოხდეს შემთხვევის ადგილზე დაუყონებლივ გასვლა, ყველა ავტოსაგზაო შემთვევის დროს მოვახდინოთ საპატრულო პოლიციის გამოძახება და ვიმოქმედოთ კანონის სრული დაცვით.

ყოველდღიური ინფორმაცია მოვახსენოთ ხელმძღვანელობას რათა რაიმე პრობლემების არსებობის შემთხვევაში დაისახოს ერთობლივი გასატარებელი ღონისძიებები.ყოველდღიურ კონტროლზე ავიყვანოთ საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების ცოდნა, სისტემატურად ავიმაღლოთ ცოდნის დონე.სისტემატურად ავიყვანოთ კონტროლზე მძღოლების მოძრაობის უსაფრთხოების წესები.ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენისათვის საჭირო დოკუმენტები მოვამზადოთ უმოკლეს ვადაში.საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაუყონებლივ ვუზრუნველყოთ დაზიანებული ავტობუსების დასურათება და დაზიანებების ისტორიის შექმნა, როგორც ელექტრონული ცხრილის სახით, ასევე შესაბამისი ფოტო-ვიდეო მასალების შენახვა.

დოკუმენტები მოვამზადოთ უმოკლეს ვადაში.საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს ɔაუყონებლივ ვუზრუნველყოთ დაზიანებული ავტობუსების დასურათება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი **დიმიტრი მხეიძე :** ,, რა შეგიძლიათ გვითხრათ მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების მიერ 2025 – 2026 წლების სამუშაო გეგმის შესახებ?"

შპს,, ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:**,ქ.ქუთაისში მუნიციპალურ ტრანსპორტში მოქალაქეების მიერ სამგზავროს გადახდის კუთხით გაწეული მუშაობის გაუმჯობესებისა და და ეფექტურად წარმართვის მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები, პერმოდ:ყოველდღიურ კონტროლზე იქნეს აყვანილი მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების

სპეციალისტების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვანი შესრულება.დაწესდეს მკაცრი კონტროლი მოქალაქეების მიერ მგზავრობის ღირებულების გადახდაზე.მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ საჯარიმო ქვითრების სრულყოფილად და ხარვეზების გარეშე შევსებაზე კონტროლი, მათი საქმიანობაში ხარვეზების შემთხვევაში მყისიერად აღმოეჩინოს ყოველგვარი დახმარება.სისტემატურად მკაცრ კონტროლზე იქნას აყვანილი განყოფილების სპეციალისტების მიერ მოქალაქეების მიმართ თავაზიანი და ზრდილობიანი მიმართვა.კონტროლზე იქნას აყვანილი კონტროლიორების მიერ საჯარიმო ქვითრების ამოწერისათვის განკუთვნილი აპარატებისა და პროგრამების შესწავლის დონე, საჭიროებიდან გამომდინარე, მათ ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები აღნიშნული ელექტრონული პროგრამებისა და აპარატების შესწავლის მიზნით.ყოველდღიურ მჭიდრო კავშირი დამყარდეს კომპანიის მონიტორინგის განყოფილებასთან. მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ დისციპლინის, პუნქტუალურობის, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობისა, კომუნიკაბელურობისა და გუნდური მუშაობის უნარის ქონის შემოწმების მიზნით საკითხი აყვანილი იქნას მკაცრ ყოველდღიურ კონტროლზე, რათა დროულად მოხდეს არსებული ხარვეზების აღმოფხვრა

გავატარებთ სისტემატურ ყოველდღიურ ღონისძიებებს განყოფილების მიერ მუშაობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით.''

,,დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი სვლაგეზებზე გარემოსა და ინფრასტრუქტურის და მოძრაობის უსაფრთხოების განსაზღვრა.დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი სვაგეზებზე გარემოსა და ინფრასტრუქტურის მხრივ არსებულ ვითარებაზე და განისაზღვროს მოძრაობის უსაფრთხოება.სისტემატურად გავაანალიზოთ საგზაო სატრანსპორტო შემთვევების სიტუაციებისაგზაო სატრანპორტო შემთხვევისას მოხდეს შემთხვევის ადგილზე დაუყონებლივ გასვლა, ყველა ავტოსაგზაო შემთვევის დროს მოვახდინოთ საპატრულო პოლიციის გამოძახება და ვიმოქმედოთ კანონის სრული დაცვით.

ყოველდღიური ინფორმაცია მოვახსენოთ ხელმძღვანელობას რათა რაიმე პრობლემების არსებობის შემთხვევაში დაისახოს ერთობლივი გასატარებელი ღონისძიებები.ყოველდღიურ კონტროლზე ავიყვანოთ საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების ცოდნა, სისტემატურად ავიმაღლოთ ცოდნის დონე.სისტემატურად ავიყვანოთ კონტროლზე მძღოლების მოძრაობის უსაფრთხოების წესები.ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენისათვის საჭირო დოკუმენტები მოვამზადოთ უმოკლეს ვადაში.საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაუყონებლივ ვუზრუნველყოთ დაზიანებული ავტობუსების დასურათება და დაზიანებების ისტორიის შექმნა, როგორც ელექტრონული ცხრილის სახით, ასევე შესაბამისი ფოტო-ვიდეო მასალების შენახვა.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე** :,,თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვაქვს გადავიდეთ კენჭისყრაზე. ვინ არის თანახმა ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.?''

მომხრე-9, წინააღმდეგი-0.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

შპს ''ქალაქ ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' მიერ 2025 წლის შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოები შეფასდეს დადებითად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხი-

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარადგინა კულტურის,სპორტის,განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა,ქალბატონმა ლანა სვანიძემ.

**კულტურის ღონისძიებები** 2025 წლის იანვრიდან დღემდე ხარჯი შეადგენს 1164848,14 ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 2025 წლის საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა საახალწლო და საშობაო აქტივობები. გაიცა 2000 საახალწლო ნობათი. ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნაჩვენები იქნა საახალწლო სპექტაკლი ,,შობის სიზმარი". ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაფინანსდა ქ.ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, აგრეთვე ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი „ზერმუხა". 6 თვის მანძილზე გამოიცა გაზეთ ,,უქიმერიონის" NN1,2,3,4,5,6,7 ნომრები; ჟურნალ ,,მწვანეყვავილას" N1,2,3 ნომერი, ჟურნალ ,,განთიადის" N1-2, 3-4, 5-6, 7-8 ნომერი. მემორანდუმის ფარგლებში დაფინასდა ქუთაისის (იმერეთის) მხატვართა რეგიონული ორგანიზაციის ხუთი გამოფენა და ერთი პლენერი. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მხარი დაეჭირა 60+ კლუბის საქმიანობას; აგრეთვე ქუთაის-გაენათის ეპარქიას. მემორანდუმის საფუძველზე მხარი დაეჭირა მ.ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრსა და შპს ,,ნიღბების თეატრს". დაჯილდოვდნენ საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში გამარჯვებული პედაგოგები და მოსწავლეები. საქართველოს დამსახურებული არტისტებისა და ქურუმებისთვის გაიცა სტიპენდია. საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით დაფინანსდნენ ქუთაისელი მწერლები, მხატვრები და თეატრალური მოღვაწეები. ფინანსური დახმარება გაეწიათ: მსახიობსა და კომპოზიტორ ზაზა კილასონიას მუსიკალური ნაწარმოებების სტუდიური არანჟირებისთვის; პროექტის ,,ლექსი კედელზე" ფარგლებში, პოეტ ენდი ნემსიწვერიძის ლექსის განთავსების ორგანიზების მიზნით შალვა კამლაძეს; პროექტის „მომავალი ჩვენია" განხორციელების ფარგლებში, მ/წ აპრილში, იტალიის ქალაქ ფლორენციაში გასამგზავრებლად სპექტაკლის „იავნანამ რა ჰქმნა" ჩვენებისთვის, თეატრალური

სტუდიის „ნევერლენდი" ხელმძღვანელ საბა სანიკიძეს; ქ.თბილისში, გალერეაში „ვერნისაჟი" პერსონალური გამოფენის მოწყობის მიზნით, ირაკლი სვანიძეს; ინტეგრირებულ თეატრს „აზდაკის ბაღი" სპექტაკლის „Hellados" გამართვისთვის; ლელა ფხაკაძეს წიგნის „შტრიხები პორტრეტისათვის - საქართველოს დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია" ბეჭდვისთვის; კომპოზიტორ ნანა იამანიძეს სიმღერის არანჟირებისა და ვიდეო რგოლის გადაღებისთვის; იოსებ კეჭაყმაძის სახელობის კამერულ გუნდს სტუდიური ჩანაწერის მოსამზადებისთვის; ჟურნალისტ მაია ყუფარაძეს ტელე-რადიო კომპანია „რიონის" ეთერში 4 ღვაწლმოსილი ქუთაისელი მხატვრის შესახებ ტელეგადაცემის მომზადებისთვის; მოქალაქე ანა გოქაძეს ლიანა ისაკაძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში შვილების - გიორგი და თამარ ჩხიკვაძეების მონაწილეობისთვის; გაიმართა სახალხო დღესასწაული „ქუთაისქალაქობა 2025", მოეწყო ღია ცის ქვეშ ღონისძიებები, კულტურული, სპორტული, გასართობი აქტივობები. მე-20 სააღდგომო საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა გიგი პიანომენის საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი; ჩატარდა ანსამბლ „ქართული ხმების" კონცერტი. ჩატარდა მ.ბალანჩივაძის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა მე-4 საერთაშორისო კონკურსი (ფორტეპიანო); „ქუთაისი - იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელის წევრი ლიტერატურის მიმართულებით მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში გამოიცა: ნანული ცხვედიანის წიგნი „შალომ - ჩემო ქალაქო"; თეიმურაზ ჭაბუკიანის წიგნი-ალბომი „საოცრებამდე უსასრულოა განგება ღვთისა"; ჩატარდა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა „ქარავან არტ-ფორუმი 2025", გაიმართა ლიანა ისაკაძის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა საორკესტრო საკრავების პირველი საერთაშორისო კონკურსი, ჩატარდა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2025"; გახმოვანებისა და განათების აპარატურით მხარი დაეჭირა 20-მდე ღონისძიებას; თეატრის დარბაზის იჯარით მომსახურება გაეწია 11-მდე ღონისძიებას. მოეწყო „ზაფხულის საღამოები" რომლის ფარგლებში მეფეთუბანში მოწყეყო ქართველი რეჟისორების ფილმების („შემთხვევითი პაემნები", „ნამე", „არდადეგები", „შინდისი", „თეთრი რელიგია") ჩვენებები. გამოიცა ელგუჯა თავბერიძის ხუთტომეული „ქუთაისური ქრონიკები".

**განათლების ღონისძიებების 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 501 000 ლარით**

**განხორციელებული ღონისძიებები**

ვეპუნქტის „ქუთაისის მერის სტიპენდიანტები" ფარგლებში ქუთაისში რეგისტრირებული 8 ტუდენტმა 1 სემესტრის მანძილზე ივნისის თვის ჩათვლით, ისარგებლებლა მერის სტიპენდიის როგრამით. ყოველთვიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრა ჯამში 2400 ლარით. ივლისის ›ვიდან მიმდინარეობს მეორე ეტაპი

ვეპუნქტის „სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება“ როგრამით 2025 წლის ივნისის ჩათვლით სულ ისარგებლებლა 14-მა ბენეფიციარმა.პროგრამა აგრძელდება სექტემბრის თვეში

ვასტულდა ტრენინგ-კურსი "აირჩიე პროფესია სკოლაში", პირველი ეტაპი (6 სკოლა) რომლის ჯარგლებშიც 2025 წელს ქუთაისის 12 სკოლის 300 მოსწავლე გაივლის ტრენინგს შემდეგ თემებზე: ჯინანსური წიგნიერება, ზრდაზე ორიენტირებული აზროვნება, პროფესიული ურთიერთობების ჯამყარება, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, მოთხოვნადი პროფესიები, სამუშაოს ძიების )ნარები, სამუშაო ეთიკა და ქცევა, სამეწარმეო უნარები.

4 აპრილს ქართული ენის დღის ფარგლებში ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი და მოეწყო ამარჯვებულთა დაჯილდოების ღონისძიება .

8 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღის ფარგლებში ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ჩატარდა ქუთაისის მუზეუმების წარმატებული და ვაწლმოსილი თანამშრომლების დაჯილდოება.

ვაფინანსდა ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის #41 ფიზიკა მათემატიკის სკოლის მოსწავლეთა აუტიკოვის ოლიმპიადაზე მონაწილეობის ტრანსპორტირება ( ყაზახეთი, ასტანა 5 პირი 4200 ლარი), დაფინანსდა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის #1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ამგზავრება ქალაქ ბაქოში გამართულ მათემატიკის ოლიმპიადაზე (2740 ლარი), 31 საჯარო სკოლის ეატრალური დასის გამგზავრება თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სიდეში (5000 ლარი) და უთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის #41 ფიზიკა მათემატიკის სკოლის მოსწავლეთა გამგზავრება ალაქ ბაქოში მათემატიკის ოლიმპიადაზე (2950 ლარი).

ინტელექტუალური კონკურსი მოსწავლეთათვის“ რომლის ორგანიზება უზრუნველყო ლექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს “ვიცი” კონკურსი გაიმართა როგორც რა? სად? როდის? სევე ჯეპარდის (პასუხი დასწრებაზე) მიმართულებით. მასში მონაწილეობდა ქუთაისის უნიციპალიტეტში მოქმედი 20 სკოლა.

ვაფინანსდა საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე მონაწილე 35-მდე ქუთაისელი მოსწავლე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ ეცნიერებათა განვითარების ფონდს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ჯარგლებში, თანადაფინანსების წესით, მოეწყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და ულტურა“ ( 7000 ლარი).

ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ფარგლებში 2 დღის მანძილზე ქუთაისის ბ. აბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ბავშვებმა ისარგებლეს უფასო ტრაქციონებით, ასევე თეთრი ხიდის მიმდებარედ მოეწყო ბავშვთა გასართობი ღონისძიებები.

9 ივნისს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტიფუნქციური ცენტრის ბაზაზე მოეწყო მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადის გალა კონცერტი და გამარჯვებულთა დაჯილდოების ღონისძიება.

**ახალგაზრდული ღონისძიებების 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 495 000 ლარით**

**განხორციელებული ღონისძიებები**

**ახალგაზრდული ღონისძიებების** ქვეპროგრამის ფარგლებში 7 თვის მანძილზე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

28 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით, დაბა ბაკურიანში ჩატარდა **ზამთრის ლიდერთა სკოლა,** მონაწილეებისათვის დაფინანსდა სასტუმრო, კვებითი და სატრენინგო მომსახურება, ბანაკში 80 ახალგაზრდა იმყოფებოდა,

**გაუთვალისწინებელი ღონისძიებებიდან დაფინანსდა:** ქუთაისის იუმორისტული ჯგუფები -,,იშვიათი იმერლების“ და ,,ჯენზი თაობის“, ქ.თბილისში მსკ ჩემპიონატზე ტრანსპორტირება; ,,იშვიათი იმერლები“ და ,,ქუთათურების“ ქ. თბილისში, საქართველოს ქართული ლიგის ახალი სატელევიზიო სეზონის ¼ და ½ ფინალურ შეხვედრებში ტრანსპორტირება. ქუთაისის იუმორისტული ჯგუფი ,,იშვიათი იმერლების“ ქ. თბილისში საქართველოს ქართული ლიგის ახალ სატელევიიო სეზონის ფინალურ შეხვედრაზე ტრანსპორტირება. ა(ა)იპ ,,სიცილის ლიგას“ მიერ ორგანიზებული ქუთაისის სასკოლო ჩემპიონატი და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და ჰელფინგ ჰენდის ერთობლივი ორგანიზებით, ქ. თბილისში, დაგეგმილ „წლის საუკეთესო მოხალისეთა ეროვნული ჯილდო ახალგაზრდებისა და მოზარდებისთვის“ წარდგენილ 1 ქუთაისელი ახალგაზრდას ტრანსპორტირება; ა(ა)იპ ,,საქართველოს კიბერსპორტის ფედერაციის“ მიერ ორგანიზებული პროექტი ,,ქუთაისის თასი 2025“ . პროექტის ,,ქუთაისის თასი 2025“ ორ გამარჯვებულს გამოეყო ჯილდო; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-35 ასაკის ახალგაზრდების ონლაინ რეჟიმში სწავლება.

**საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა** დაფინანსდა 1 ქუთაისელი ახალგაზრდის ტრანსპორტირება ჩეხეთში

**ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლებში** დაფინანსდა 2 პროექტი: 1. სამაგიდე თამაშების ჩემპიონატის მოწყობა, 2. სამხედრო საქმისა და სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტების თეორიული და სიმულაციური სწავლება

**დაფინანსდა ახალგაზრდული პარა ორკესტრის** 2 თვის მომსახურება, მოხდა საჭირო მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა.

**განხორციელდა ქუთაისის ახალგაზრდული ფესტივალი, ხოლო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში** დაფინანსდა კონცერტი პოპულარული ქართველი მუსიკალური ჯგუფებისა და მომღერლების (,,IV დასი“, პაჯო, ზაზა ნოზაძე) მონაწილეობით.

**დაისვა შეკითხვები,გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** მაინტერესებს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ რას გვეტყვით?

ახალგაზრდობის საქმეთსსამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი **ლანა სვანაძე:,,** გვაქვს დაგეგმილი საზაფხულო ბანაკი ქუთაისის სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით: 15 აგვისტოდან 30 აგვისტომდე, სამ ნაკადად დაბა ბაკურიანში, თითოეულ ნაკადში 43 მოსწავლე.მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით საჯარო სკოლების წლის წარმატებული მასწავლებლებისა და „ამაგდარი" პედაგოგების დაჯილდოება.ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგების მქონე და 100%-იანი გრანტის მომპოვებელ ქუთაისელ სტუდენტთა დაჯილდოება.საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალი (სპექტაკლების ჩვენება და გამარჯვებულების დაჯილდოება ნომინაციების მიხედვით)."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი **ბაქარ მახარაძე:** მაინტერესებს ბანაკში გასაშვები ბავშვები რა სპეციპიკით შეირჩევა და წინასწარ თუ არის მათთვის ცნობილი რა უნდა წარადგინონ?

ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი **ლანა სვანაძე:,,** ცხადია, ოფიციალურ გვერდზე იდება, თან ახლავს ბანაკის დებულება და ნებისმიერს შეუძლია გაეცნოს.მოსწავლემ უნდა დაწეროს ესე რომლის მიხედვითაც ხდება შერჩევა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი **მიხეილ გიორგაძე:** მაინტერესებს ფინანსური მხარე,ათვისებული გაქვთ 60%,დანარჩენ 40 %-ზე რას გვეტყვით?

ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი **ლანა სვანაძე:,,**წლის ბოლომდე სრულად იქნება თანხა ათვისებული."

მომხრე-9, წინააღმდეგი-0.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

კულტურის,სპორტის,განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2025 წლის შესრულებული და დაგეგმილი ღონისძიებების მუშაობა შეფასდეს დადებითად..

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" ოცდამეცამეტე სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე მ. ნიჟარაძე